

2015 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

**ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის №275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია №1 დანართის, „ელექტრონული აპარატურის აღრიცხვის ჟურნალი“ №2 დანართის, „ელექტრონული აპარატურის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ ოქმი“ №3 დანართის, „ელექტრონული აპარატურის დამაგრების შესახებ ოქმი“ №4 დანართის, „მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის გაფრთხილების ფორმა“ №5 დანართის, „ელექტრონული აპარატურის მოხსნის შესახებ ოქმი“ №6 დანართის, „სამაჯურის (გადამცემის) დროებით მოხსნის შესახებ ოქმი“ №7 დანართისა და „შემოწმების შედეგების შესახებ ოქმი“ №8 დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა  
და პრობაციის მინისტრი

კახა კახიშვილი

**დანართი №1**

**ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია**  
**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ამ წესის მიზანია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის (შემდგომში – მსჯავრდებული) მიმართ, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პერიოდში, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების პროცედურების და მეთოდოლოგიის განსაზღვრა.

**მუხლი 2. ელექტრონული ზედამხედველობის მეთოდი**

1. ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას – სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს.

2. ელექტრონული აპარატურა შედგება გადამცემის და მიმღებისაგან. გადამცემს წარმოადგენს ელექტრონული სამაჯური, რომელიც დანიშნული სასჯელის ვადის განმავლობაში, როგორც წესი, დამაგრებულია მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე ისე, რომ დაზიანების გარეშე შეუძლებელია მისი მოშორება. მიმღები განთავსებულია სასჯელის აღსრულების ადგილას, ხოლო შინაპატიმრობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილას, რომელიც მუდმივად მიერთებულია დენის



წყაროსთან. თუ, ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სამაჯურის (გადამცემის) დამაგრება მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე, სამაჯური (გადამცემი) მაგრდება მსჯავრდებულის მაჯაზე. მიმღების საშუალებით მსჯავრდებულისათვის განისაზღვრება პერიმეტრი (შინაპატიმრობისას საცხოვრებელი ფართის მიხედვით), რომლის დარღვევის შემთხვევაში მსჯავრდებულზე დამაგრებული სამაჯური (გადამცემი) მიმღებს გადასცემს სიგნალს.

3. მიმღებ და გადამცემ ელექტრონულ აპარატურაზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება, აგრეთვე მსჯავრდებულის მიერ განსაზღვრული პერიმეტრის დატოვება, შეტყობინების სახით დაუყოვნებლივ აისახება ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში.

4. ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში, შეტყობინების სახით, ასევე აისახება მიმღებსა და გადამცემ ელექტრონულ აპარატურაზე შემდეგი სახის ზემოქმედებები:

ა) 6 საათის განმავლობაში გადამცემის უმოქმედო მდგომარეობა;

ბ) გადამცემზე ტემპერატურის ცვალებადობა;

გ) გადამცემის/მიმღების დაზიანება;

დ) მიმღების გადაადგილება;

ე) მიმღების ელექტროენერჯის წყაროდან გათიშვა;

ვ) ორი გადამცემის ერთმანეთთან მიახლოება;

ზ) სხვა გარემოებები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში ასახვისას, პრობაციის ოფიცერი/ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ვალდებულია გადაამოწმოს ზემოქმედების გამომწვევი მიზეზი.

6. ელექტრონულ აპარატურას (მიმღები და გადამცემი) გააჩნია სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდი.

7. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ეკონომიკური სამმართველო ელექტრონულ აპარატურას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების (შემდგომში – პრობაციის ბიურო) უფროსებს.

8. კონკრეტულ საქმისმწარმოებელ პრობაციის ოფიცერს ელექტრონულ აპარატურას გადასცემს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი, რომელიც გადაცემას არეგისტრირებს ელექტრონული აპარატურის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №2), რაც დასტურდება პრობაციის ბიუროს უფროსისა და პრობაციის ოფიცერის ხელმოწერით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მსჯავრდებულისათვის ელექტრონული აპარატურის მოხსნის შემდეგ პრობაციის ოფიცერი მოხსნილ ელექტრონულ აპარატურას აბარებს პრობაციის ბიუროს უფროსს, რაც ასევე რეგისტრირდება ელექტრონული აპარატურის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №2). ელექტრონული აპარატურის აღრიცხვის ჟურნალი უნდა იყოს დანომრილი, აკინძული და პრობაციის ბიუროს უფროსის ბეჭდით დამოწმებული.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №132 - ვებგვერდი, 02.11.2016 წ.*

### **მუხლი 3. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების პროცედურები და ვადები**

1. პრობაციის ბიუროში შესული სამართლებრივი აქტის აღსრულება იწყება დაუყოვნებლივ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შინაპატიმრობის შემთხვევაში პრობაციის ოფიცერი, მისთვის აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის გადაცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სხვა არასაპატიმრო სასჯელის



შემთხვევაში – სასჯელის აღსრულების დაწყებისას, გარდა ფორსმაჟორული (კერძოდ, სტიქიური უბედურება, ავარია, ხანძარი, მასობრივი არეულობა, სამხედრო მოქმედები, კარანტინი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება) შემთხვევისა, ვალდებულია, ელექტრონული ზედამხედველობის უზრუნველყოფის, კერძოდ, ელექტრონული აპარატურის დამაგრების მიზნით, განახორციელოს ვიზიტი აღსასრულებელ სამართლებრივ აქტში მითითებული მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ან სასჯელის აღსრულების სხვა ადგილზე.

3. პრობაციის ოფიცერი ვალდებულია მსჯავრდებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს ელექტრონული აპარატურის გამოყენების ინსტრუქცია.

4. იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის აღსრულების ადგილას ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება, აღნიშნულის თაობაზე პრობაციის ოფიცერი ადგენს შესაბამის ოქმს (დანართი №3), რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის პრობაციის ბიუროს უფროსს.

5. ოქმის (დანართი №3) მიღებისთანავე პრობაციის ბიუროს უფროსი ვალდებულია მიმართოს სააგენტოს უფროსს მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

6. სააგენტოს უფროსი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მომართვის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

6<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ არსებობს სხვა ისეთი გარემოება, რომელიც შეიძლება მსჯავრდებულის მიმართ შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს, პრობაციის ბიუროს უფროსი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს უფროსს. სააგენტოს უფროსი გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში. შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>8</sup> მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

7. მსჯავრდებულის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში აღინიშნება მსჯავრდებულის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, სასჯელის აღსრულების ადგილი, ხოლო შინაპატიმრობისას – ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ხორციელდება ზედამხედველობა, ელექტრონულ აპარატურაში დამონტაჟებული სიმბარათის (ტელეფონის) ნომერი, ელექტრონული აპარატურის საიდენტიფიკაციო კოდი და პრობაციის ოფიცრის სახელი და გვარი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში დაფიქსირებას უზრუნველყოფს ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრზე პასუხისმგებელი თანამშრომელი.

9. ელექტრონული აპარატურის დამაგრებისას პრობაციის ოფიცერი ათვალისწინებს სასჯელის აღსრულების ადგილს (შინაპატიმრობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილს) და არსებული პირობების გათვალისწინებით მიმღებს განათავსებას გარე ზემოქმედებისაგან უსაფრთხო ადგილას, ისე რომ შესაძლებელი იყოს მიმღების მიერთება დენის წყაროსთან. პრობაციის ოფიცერი სასჯელის აღსრულების ადგილის (შინაპატიმრობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართის მიხედვით) განსაზღვრავს პერიმეტრს, რომელიც შეესაბამება სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის აღსრულების ადგილს. პერიმეტრის მონაცემები აღინიშნება მიმღებ მოწყობილობაში.

10. ელექტრონული აპარატურის (მიმღების) დამაგრების შემდგომ პრობაციის ოფიცერი სამაჯურს (გადამცემს) ამაგრებს მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე ისე, რომ შეუძლებელი იყოს სამაჯურის მოხსნა დაზიანების გარეშე. მიმღებისა და გადამცემის დამაგრების შემდეგ პრობაციის ოფიცერი ამოწმებს ელექტრონული აპარატურის მუშაობის გამართულობას და ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრზე პასუხისმგებელი თანამშრომლისგან ელექტრონული



აპარატურის გამართულად მუშაობის დადასტურების მიღებისთანავე ადგენს ელექტრონული აპარატურის დამაგრების ოქმს (დანართი №4).

11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი პროცედურის დასრულების შემდეგ პრობაციის ოფიცერი წერილობით აფრთხილებს (დანართი №5) მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს მსჯავრდებულის ბრალეული ქმედების შედეგად ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ. გაფრთხილება დასტურდება მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. თუ მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გაფრთხილების ხელმოწერაზე, დგება ოქმი უარის თქმის თაობაზე. მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის უარი ხელმოწერაზე არ ათავისუფლებს მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის ვადის დასრულების ბოლო დღეს პრობაციის ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს დამაგრებული ელექტრონული აპარატურის მოხსნა, რის თაობაზეც დგება ოქმი ელექტრონული აპარატურის მოხსნის შესახებ (დანართი №6).

13. იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის ვადის დასრულების ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე ან დასვენების დღეს, პრობაციის ოფიცერი ელექტრონულ აპარატურას ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით მოხსნის სასჯელის ვადის დასრულების წინა სამუშაო დღეს.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №132 - ვებგვერდი, 02.11.2016 წ.*

#### **მუხლი 4. სამაჯურის (გადამცემის) დროებით მოხსნა**

1. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე, პრობაციის ოფიცერს, პრობაციის ბიუროს უფროსთან შეთანხმებით, შეუძლია მსჯავრდებულს დროებით მოხსნას სამაჯური (გადამცემი), რის თაობაზეც დგება სამაჯურის (გადამცემის) დროებით მოხსნის შესახებ ოქმი (დანართი №7).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოქმში აღინიშნება სამაჯურის (გადამცემის) მოხსნის დრო და ვადა, რომლის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა პრობაციის ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს მსჯავრდებულისათვის სამაჯურის (გადამცემის) დამაგრება.

#### **მუხლი 5. ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრი**

1. ელექტრონული ზედამხედველობის მართვის აპარატურა განთავსებულია სააგენტოში მდებარე ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრში (შემდგომში – მართვის ცენტრი), რომელიც არის სათანადო წესით დაცული ოთახი.

2. მართვის ცენტრიდან ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლების მიერ უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში.

3. ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში ასახული შეტყობინების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა საქმისმწარმოებელ პრობაციის ოფიცერს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გამომწვევი მიზეზის გადამოწმება შეიძლება განხორციელდეს როგორც ტელეფონით, ისე მსჯავრდებულის მისამართზე ვიზიტის განხორციელებით. შემოწმების შედეგები აისახება ოქმში (დანართი №8).

5. თუ შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ადგილი აქვს მსჯავრდებულის მიერ ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პერიმეტრის დარღვევას ან/და ამავე მიზნით ელექტრონული აპარატურის დაზიანებას, მსჯავრდებულის მიმართ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.



6. მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, თუ არსებობს ახალი ელექტრონული აპარატურის დაზიანების რისკი, პრობაციის ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში. შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის თაობაზე. შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>მ</sup> მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №132 - ვებგვერდი, 02.11.2016 წ.

**დანართი №2**

**ელექტრონული აპარატურის აღრიცხვის ჟურნალი**

მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი	გადამცემის საიდენტიფიკაციო ნომერი	პრობაციის ოფიცისათვის გადაცემის თარიღი	პრობაციის ოფიცის სახელი და გვარი	პრობაციის ოფიცის ხელმოწერა	პრობაციის ბიუროს უფროსის ხელმოწერა	პრობაციის ბიუროს უფროსისათვის აბრუნების თარიღი	პრობაციის ოფიცის სახელი და გვარი	პრობაციის ოფიცის ხელმოწერა	პრობაციის ბიუროს უფროსის ხელმოწერა	შენიშვნა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №132 - ვებგვერდი, 02.11.2016 წ.

**დანართი №3**

**ოქმი  
ელექტრონული აპარატურის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ**



\_\_\_\_\_ „\_\_\_\_\_”

\_\_\_\_\_ 20\_\_წ.

ოქმის შედგენის ადგილი

ოქმის შედგენის თარიღი

მე, პრობაციის ოფიცერმა \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) ელექტრონული აპარატურის დამაგრების მიზნით, განვახორციელე ვიზიტი მსჯავრდებულის \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) სასჯელის აღსრულების ადგილზე/საცხოვრებელ მისამართზე:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(რეგიონი/რაიონი, მისამართი)

განხორციელებული მოქმედების შინაარსი

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ელექტრონული აპარატურის გამოყენებით ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შეუძლებლობის მიზეზი:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

\_\_\_\_\_

ოქმი შედგენილია ჩემ მიერ 20 \_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ საათსა და \_\_\_\_ წუთზე.



ოქმში აღნიშნული მონაცემები სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

ელექტრონული ზედამხედველობის ცენტრზე პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი:

\_\_\_\_\_

პრობაციის ოფიცერი: \_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი: \_\_\_\_\_

დანართი №4

ოქმი  
ელექტრონული აპარატურის დამაგრების შესახებ

\_\_\_\_\_”

ოქმის შედგენის ადგილი

\_\_\_\_\_20\_წ.

ოქმის შედგენის თარიღი

მე, პრობაციის ოფიცერმა \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) ელექტრონული აპარატურის დამაგრების მიზნით, განვახორციელე ვიზიტი მსჯავრდებულის \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) სასჯელის აღსრულების ადგილზე/საცხოვრებელ მისამართზე:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(რეგიონი/რაიონი, მისამართი)

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

\_\_\_\_\_

განხორციელებული მოქმედების შინაარსი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_



ოქმი შედგენილია ჩემ მიერ 20 \_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ საათსა და \_\_\_\_ წუთზე.

ოქმში აღნიშნული მონაცემები სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

ელექტრონული ზედამხედველობის ცენტრზე პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი:

\_\_\_\_\_

პრობაციის ოფიცერი: \_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი: \_\_\_\_\_

დანართი №5

**მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის გაფრთხილების ფორმა**

პრობაციის ოფიცერის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის:

სახელი და გვარი \_\_\_\_\_

დაბადების თარიღი \_\_\_\_\_

პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) \_\_\_\_\_

გაფრთხილებული ვარ, რომ მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მეკისრება მე, როგორც მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

(თუ კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გაფრთხილების ფორმის ხელის მოწერაზე, კეთდება ჩანაწერი უარის თქმის მიზეზის მითითებით)

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

გავაცანი: \_\_\_\_\_





(პრობაციის ოფიცრის ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_

დანართი №6

ოქმი  
ელექტრონული აპარატურის მოხსნის შესახებ

\_\_\_\_\_ „\_\_\_\_\_”

\_\_\_\_\_ 20\_\_წ.

ოქმის შედგენის ადგილი

ოქმის შედგენის თარიღი

მე, პრობაციის ოფიცრმა \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) ელექტრონული  
ზედამხედველობის აპარატურის მოხსნის მიზნით, განვახორციელე ვიზიტი მსჯავრდებულის  
\_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) სასჯელის აღსრულების ადგილზე/საცხოვრებელ  
მისამართზე:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(რეგიონი/რაიონი, მისამართი)

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

\_\_\_\_\_

განხორციელებული მოქმედების შინაარსი

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ოქმი შედგენილია ჩემ მიერ 20 \_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ საათსა და \_\_\_\_ წუთზე.



ოქმში აღნიშნული მონაცემები სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

პრობაციის ოფიცერი: \_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი: \_\_\_\_\_

დანართი №7

ოქმი  
სამაჯურის (გადამცემის) დროებით მოხსნის შესახებ

\_\_\_\_\_ „\_\_\_\_\_”

\_\_\_\_\_ 20\_\_წ.

ოქმის შედგენის ადგილი

ოქმის შედგენის თარიღი

მე, პრობაციის ოფიცერმა \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი), განვახორციელე სამაჯურის (გადამცემის) დროებითი მოხსნა მსჯავრდებულის \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) მიმართ.

სამაჯურის (გადამცემის) მოხსნა განხორციელდა:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(რეგიონი/რაიონი, მისამართი)

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

\_\_\_\_\_

განხორციელებული მოქმედების მიზეზი და გადამცემის მოხსნის ვადა

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_



ოქმი შედგენილია ჩემ მიერ 20 \_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ საათსა და \_\_\_\_ წუთზე.

ოქმში აღნიშნული მონაცემები სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

პრობაციის ოფიცერი: \_\_\_\_\_

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი: \_\_\_\_\_

დანართი №8

ოქმი  
შემოწმების შედეგების შესახებ

\_\_\_\_\_ „\_\_\_\_”  
ოქმის შედგენის ადგილი

\_\_\_\_\_ 20\_\_წ.  
ოქმის შედგენის თარიღი

მე, \_\_\_\_\_ (ოქმის შემდგენის სახელი და გვარი) ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში ასახული შეტყობინების გამომწვევი მიზეზის შემოწმების მიზნით, განვახორციელე შემოწმება

(შემოწმების ფორმა), რის შედეგადაც გამოირკვა, რომ \_\_\_\_\_

(შემოწმების შედეგი).

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)



ოქმი შედგენილია ჩემ მიერ 20 \_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_ საათსა და \_\_\_\_ წუთზე.

ოქმში აღნიშნული მონაცემები სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი: \_\_\_\_\_

(კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა საჭიროა, თუ შემოწმება განხორციელდა მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე)

ოქმის შემდგენი პირი: \_\_\_\_\_

